# რუსი იმიგრანტების ცხოვრება საქართველოში

კვლევის ანგარიშის პრეზენტაცია

**გივი სილაგაძე**
მკვლევარი, CRRC-საქართველო

თბილისი, 2023

NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY
SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

# პრეზენტაციის სტრუქტურა

- კონტექსტი

- მეთოდოლოგია
  - კვლევის მიზანი და კითხვები
  - მონაცემების შეგროვების მეთოდი
  - მონაცემების ანალიზის მეთოდი

- ძირითადი ნაწილი – მიგნებები
  - სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი
  - რუსეთის დატოვება
  - დამოკიდებულებები რუსეთისა და რუსეთის მოქალაქეების მიმართ
  - საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლა
  - დამოკიდებულებები საქართველოსა და საქართველოს მოქალაქეების მიმართ
  - პოლიტიკური შეხედულებები და აქტივობები

- შეჯამება

# კონტექსტი



- რუსეთის უკრაინაში შეჭრა და **რუსეთის მოქალაქეების მასობრივი გადინება**
  - 2022 წელს რუსეთი 1.3 მილიონმა რუსეთის მოქალაქემ დატოვა (დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო, 2023)
- რუსი იმიგრანტებისთვის სამხრეთ კავკასია და, განსაკუთრებით, **საქართველო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია**
  - დათვლების მიხედვით, დაახლოებით 100,000 რუსეთის მოქალაქე ცხოვრობდა საქართველოში 2022 წლის ბოლოს (ნეტგაზეთი, 2022)
- რუსეთის მოქალაქეების საქართველოში მასობრივი შემოსვლა, ძირითადად, ეკონომიკური ან სოციალურ-პოლიტიკური ზეგავლენის კონტექსტში განიხილება
  - უარყოფითი გავლენა ინფლაციაზე (რადიო თავისუფლება, 2023)
  - უარყოფითი სოციალურ-პოლიტიკური გავლენა (Kakachia and Kandelaki, 2022)
- თუმცა, **ცოტაა კვლევები რუსი იმიგრანტების დამოკიდებულებების, შეხედულებებისა და საქმიანობის შესახებ**
- წინა (არაწარმომადგენლობითი) გამოკითხვების მიხედვით, საქართველოში მცხოვრები რუსი იმიგრანტები, რუსეთის მოსახლეობასთან შედარებით არიან უფრო (Krawatzec et al. 2023; Kostenko et al. 2023; Staske and Giucci, 2023)
  - ახალგაზრდა
  - განათლებული
  - ლიბერალურად და ანტირუსულად განწყობილი

კვლევის **მიზანია** 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ, საქართველოში საცხოვრებლად გადმოსული რუსეთის მოქალაქეების შეხედულებების, დამოკიდებულებების და საქმიანობის შესწავლა

1. რატომ დატოვეს რუსეთი?
2. რამდენად ინარჩუნებენ კონტაქტს რუსეთთან?
3. როგორი დამოკიდებულება აქვთ რუსეთის სხვა მოქალაქეებთან?
4. როგორი დამოკიდებულება აქვთ რუსეთთან?
5. რატომ აირჩიეს საქართველო საცხოვრებლად?
6. როგორი დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მოქალაქეებთან?
7. როგორი დამოკიდებულება აქვთ საქართველოსთან?
8. როგორია მათი პოლიტიკური შეხედულებები?
9. რამდენად არიან პოლიტიკაში ჩართული საქართველოში დასახლების შემდეგ?

## ✓რაოდენობრივი გამოკითხვა

**შერჩევის ზომა:** 1008

**საველე სამუშაოები:** 2023 წლის 5 აპრილიდან და 8 მაისამდე

**ინტერვიუს/კითხვარის ენა:** რუსული

**შერჩევის დიზაინი:** არაალბათური შერჩევის მეთოდი
- ა) სატელეფონო გამოკითხვა
- ბ) პირისპირი გამოკითხვა
- გ) ონლაინ თვით-ადმინისტრირებადი გამოკითხვა

**რესპონდენტების რეკრუტირება:**
- ა) CRRC-საქართველოს სხვა გამოკითხვები
- ბ) ფეისბუქ რეკლამა
- გ) ტელეგრამ რეკლამა
- დ) თოვლის გუნდის პრინციპი

**გენერალურ ერთობლიობაზე (საქართველოში მცხოვრებ რუსეთის ყველა მოქალაქეზე) ოფიციალური ინფორმაციის არქონისა და არაალბათური, არარანდომული შერჩევის დიზაინის გამო, კვლევის შედეგების განზოგადება შეუძლებელია!**

# ✓მულტივარიაციული სტატისტიკური ანალიზი

რეგრესიულ მოდელებში ჩართულია შემდეგი დამოუკიდებელი ცვლადები:

| ცვლადი | პასუხის ვარიანტები |
|---|---|
| **ასაკი** | 33 წლის ან უფრო ახალგაზრდა, 33-ზე უფროსი |
| **სქესი** | კაცი, ქალი |
| **ფორმალური განათლების დონე** | საშუალო ან უფრო დაბალი, პროფესიული, ბაკალავრი, სპეციალისტი, მაგისტრი ან უფრო მაღალი |
| **დასახლების ადგილი საქართველოში** | თბილისი, ბათუმი, სხვა |
| **მუდმივი დასახლების ადგილი რუსეთში** | მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი, სხვა |
| **საქართველოში ჩამოსვლის პერიოდი** | 2022 წლის 24 თებერვლიდან 22 სექტემბრამდე, 2022 წლის 22 სექტემბრის შემდეგ |
| **დასაქმების სტატუსი საქართველოში** | მუშაობს, არ მუშაობს |
| **ეთნიკური წარმომავლობა** | ეთნიკურად რუსი, ეთნიკურად არარუსი |
| **ყოველთვიური შემოსავალი საქართველოში (აშშ დოლარი)** | 1000-ზე ნაკლები, 1000-დან 2500-მდე, 2500 და მეტი |

# სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

# მიგნებები | სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი




N=1008

# მიგნებები | სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

CRRC საქართველო
კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

ფორმალური განათლების ყველაზე მაღალი საფეხური (%)




N=1008

დასაქმების სფერო საქართველოში ცხოვრებისას (%)



# მიგნებები

რუსეთის დატოვება

# მიგნებები | რუსეთის დატოვება

## უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი რუსეთში (%)




N=1008

N=1005


რამდენად კმაყოფილი ან უკმაყოფილო იყავით თქვენი ცხოვრებით რუსეთში? (%)
ძალიან კმაყოფილი
8
საკმაოდ კმაყოფილი
39
არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო
16
საკმაოდ უკმაყოფილო
23
ძალიან უკმაყოფილო
13

N=1006

## რუსეთის დატოვების მთავარი მიზეზები (%)

*რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის დასახელება შეეძლოთ*



# მიგნებები | რუსეთის დატოვება

## რამდენად ხშირად ესაუბრებით თქვენს მეგობრებსა და ნათესავებს, ვინც რუსეთში დარჩა? (%)




N=858

## საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ყოფილხართ თუ არა რუსეთში? (%)




N=1006

N=1008

აპირებთ თუ არა რუსეთში დაბრუნებას ახლო მომავალში? (%)



# დამოკიდებულებები რუსეთისა და რუსეთის მოქალაქეების მიმართ

N=856


ზოგადად, როგორი დამოკიდებულება გაქვთ რუსეთის მიმართ? (%)
დადებითი
28
უარყოფითი
66
არ ვიცი
4
უარი პასუხზე
2

# მიგნებები | დამოკიდებულებები რუსეთისა და რუსეთის მოქალაქეების მიმართ

CRRC საქართველო
კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

N=1008

## რამდენად ენდობით ან არ ენდობით ... ? (%)



# საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლა

# მიგნებები | საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლა

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

## მუდმივი საცხოვრებელი საქართველოში (%)




N=1008

## საცხოვრებელი უბანი თბილისში (%)

*მხოლოდ რესპონდენტების 80%, ვინც თბილისში ცხოვრობს*




N=802

# მიგნებები | საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლა




N=1005




N=1008

N=1008

## საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის მთავარი მიზეზები (%)

*რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის დასახელება შეეძლოთ*



N=1000


რამდენი ხნით გეგმავთ საქართველოში დარჩენას? (%)
1 წელი ან მეტი
49
6-12 თვე
14
4-6 თვე
6
2-3 თვე
3
1 თვე ან ნაკლები
ჯერ არ გადამიწყვეტია
25
არ ვიცი
1

# დამოკიდებულებები საქართველოსა და საქართველოს მოქალაქეების მიმართ


ზოგადად, როგორი დამოკიდებულება გაქვთ საქართველოს მიმართ? (%)
დადებითი
98
უარყოფითი
1

N=853


რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს მცხოვრებლებს? (%)
17
74
7
1
1
სრულად ვენდობი
ძირითადად ვენდობი
ნაკლებად ვენდობი
საერთოდ არ ვენდობი
არ ვიცი

N=1007

## მიგნებები | დამოკიდებულებები საქართველოსა და საქართველოს მოქალაქეების მიმართ

N=999



კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

# პოლიტიკური შეხედულებები და საქმიანობა

N=855

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ თუ ხელისუფლება ქვეყანაში წესრიგსა და სტაბილურობას უზრუნველყოფს, არ აქვს მნიშვნელობა, დემოკრატიული იქნება ის, თუ – არადემოკრატიული? (%)



CRRC საქართველო
კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

## ✓ რუსეთის პოლიტიკა

N=856

რამდენად დემოკრატიულია რუსეთი დღეს? (%)



## ✓ რუსეთის პოლიტიკა

N=1008

რამდენად ენდობით ან არ ენდობით რუსეთის მთავრობას? (%)



## ✓ რუსეთის პოლიტიკა

N=861



## ✓ საქართველოს პოლიტიკა

N=853



CRRC საქართველო
კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

## ✓ საქართველოს პოლიტიკა

N=1008

რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს მთავრობას? (%)



## ✓ საქართველოს პოლიტიკა

N=861

როგორ შეაფასებდით ... საქმიანობას? (%)



✓ საერთაშორისო აქტორები

N=861

როგორ შეაფასებდით ვოლოდიმირ ზელენსკის საქმიანობას? (%)



## ✓ საერთაშორისო აქტორები

N=856

ზოგადად, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ... მიმართ? (%)



# მიგნებები | პოლიტიკური ჩართულობა

N=859

## საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ... (%)



# შეჯამება

# შეჯამება I



**სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი:**

- ახალგაზრდა, განათლებული, დასაქმებული;
- არაპროპორციულად მეტი კაცი, ქალაქში მცხოვრები და IT სფეროში დასაქმებული;

**რუსეთის დატოვება:**

- რუსეთის დატოვების მიზეზად, ძირითადად, პოლიტიკური სიტუაცია რუსეთში, უკრაინასთან ომი და სამხედრო მობილიზაცია სახელდება;
- ახლო მომავალში რუსეთში დაბრუნებას არ აპირებენ, თუმცა მათი უმეტესობა რეგულარულ კონტაქტს ინარჩუნებს რუსეთში დარჩენილ მეგობრებთან თუ ნათესავებთან;
- ყოველი მეოთხე ამბობს, რომ საქართველოში გადმოსახლების შემდეგ, რუსეთში ყოფილა;

**დამოკიდებულება რუსეთის და რუსეთის მოქალაქეების მიმართ:**

- სამიდან ორი რუსეთის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ასევე, ნახევარი რუსეთში დარჩენილ რუსებს არ ენდობა;

# შეჯამება II

**საქართველოში ჩამოსვლა:**

- კონკრეტულად საქართველოზე არჩევანის შეჩერებას რესპონდენტები, ძირითადად, საქართველოში არსებული უსაფრთხოებით, ცხოვრების ხელმისაწვდომობითა და ჩამოსვლის სიმარტივით ასაბუთებენ;
- აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია საქართველოში ცხოვრებით და თავს უსაფრთხოდ გრძნობს;

**დამოკიდებულება საქართველოს და საქართველოს მოქალაქეების მიმართ:**

- 98% საქართველოს მიმართ დადებითადაა განწყობილი. ათიდან ცხრა საქართველოს მოსახლეობას ენდობა, ხოლო ათიდან შვიდი ამბობს, რომ ქართველი მეგობარი ჰყავს;

**პოლიტიკური შეხედულებები - რუსეთი:**

- რუსეთში განვითარებულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს გამოკითხულები, მეტწილად, თვალს ადევნებენ. აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ რუსეთი საერთოდ არაა დემოკრატია, არ ენდობა რუსეთის მთავრობას და მკვეთრად უარყოფითად აფასებს პუტინის საქმიანობას;
- ათიდან რვა დადებითად აფასებს ალექსეი ნავალნის საქმიანობას;

# შეჯამება III

**პოლიტიკური შეხედულებები - საქართველო:**

- უმეტესობა ფიქრობს, რომ საქართველო დემოკრატიაა, თუმცა ნახევარზე მეტი, ასევე აღნიშნავს, რომ ქართულ დემოკრატიას დიდი პრობლემები აქვს;
- ნახევარზე მეტი საქართველოს მთავრობას არ ენდობა და უარყოფითად აფასებს პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის საქმიანობას. თუმცა, ოთხიდან სამი დადებითად აფასებს პრეზიდენტ ზურაბიშვილის საქმიანობას;

**საერთაშორისო აქტორები:**

- გამოკითხულებს მკაფიოდ დადებითი დამოკიდებულება აქვთ უკრაინის, ევროკავშირის, აშშ-ის და ნატოს მიმართ;
- ათიდან რვა ზელენსკის საქმიანობას დადებითად აფასებს;

**პოლიტიკური ჩართულობა:**

- საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ აბსოლუტური უმრავლესობა პოლიტიკას მეგობრებთან და ნათესავებთან განიხილავს და, ასევე, უყურებს პოლიტიკურ პროგრამებს თუ ვიდეოებს;
- თუმცა, როცა საქმე პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას ეხება, ნახევარზე ნაკლებს მიუღია მანიფესტაციაში მონაწილეობა ან დაუწერია სოციალ ქსელში პოლიტიკის შესახებ;

# წყაროები

Kakachia, Kornely and Salome Kandelaki. 2022. „The Russian Migration to Georgia: Threats or Opportunities?“ Ponars Eurasia Policy Memo No. 817. ხელმისაწვდომია: https://gip.ge/wp-content/uploads/2022/12/Pepm817_Kakachia-Kandelaki_Dec2022.pdf

Kostenko, Nika, Margarita Zavadskaya, Emil Kamalov and Ivetta Sergeeva. 2023. “The Russian Rhizome: A social portrait of new immigrants” RE:RUSSIA. ხელმისაწვდომია: https://re-russia.net/en/expertise/045/

Krawatzek, Félix, George Soroka and Isabelle DeSisto. 2023. „Russians in the South Caucasus: Political Attitudes and the War in Ukraine” ZOiS Report. ხელმისაწვდომია: https://www.zois-berlin.de/en/publications/zois-report/russians-in-the-south-caucasus-political-attitudes-and-the-war-in-ukraine

Staske, Sebastian and Ricardo Giucci. 2023. „Relocation of people from Russia and Belarus to Georgia: results of 2nd survey and update of economic implications“. German Economic Team Policy Study. ხელმისაწვდომია: https://www.german-economic-team.com/wp-content/uploads/2023/03/GET_GEO_PS_01_2023_en-1.pdf

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო. 2023. „Update on Ukraine, 07 May 2023“. ხელმისაწვდომია: https://twitter.com/DefenceHQ/status/1655085083299127296?lang=en

ნეტგაზეთი. 2022. „წელს შემოსულთაგან საქართველოში რუსეთის 112 733 მოქალაქე რჩება — შსს“. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/637626/

რადიო თავისუფლება. 2023. „მოლდოვას ევროკავშირი დახმარებას უსამმაგებს, საქართველოში რუსეთისგან შემოსავალს ითვლიან“. ხელმისაწვდომია: ბმული.

# მადლობა ყურადღებისთვის!

Q&A